ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 11185/01
19/12/2018

11185-01-2-201812190900

სს. „რეალ ინვესტს“

ქ. თბილისი, მოსაშვილის ქ. N 24

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2018 წლის 6 დეკემბრის № 15696 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, შპს „რეალ ინვესტის“ ინდივიდუალური განაშენიანების (ურბანული განვითარების) პროექტს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- ინფორმაცია სამშენებლო ბანაკის, ასევე მშენებლობაზე გამოყენებული ტექნიკის შესახებ;
- ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების შესრულების პერიოდის შესახებ;
- საპროექტო ტერიტორიაზე სხვადასხვა ობიექტების განთავსდების არეალები, შესაბამისი GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად);
- ნიადაგის ნაყოფიერი ფენის გამოყენებისნ და დასაწყობების შესახებ საკითხები;
- ინფორმაცია წარმოქმნილი ნარჩენების და შესაბამისი ნარჩენების მართვის საკითხების შესახებ;
- ელექტროგადამცემი ხაზების სიმძლავრე, სატრანსფორმატორო ქვესადგურების, ასევე კავშირგაბმულობის ხაზების შესახებ ინფორმაცია GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად);
- ბუნებრივი აირით მომარაგების ქსელის პარამეტრები, მშენებლობის შესახებ ინფორმაცია და საპროექტო არეალი;

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე სამინისტრო აჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას. გთხოვთ, 1 თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენა სამინისტროში შესაბამისი დამატებითი დოკუმენტაციით, რის შემდგომაც, სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განაახლებს ადმინისტრაციულ წარმოებას გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე